

## განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დადგენილების პროექტზე - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი პროექტის მიზანია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 28 ივლისის №25 დადგენილების არსებულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის 3<sup>1</sup> პუნქტიდან გამომდინარე.

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

დადგენილების პროექტის ინიციატორია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.